ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 07 სექტემბრის სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ ზონების განსაზღვრის შესახებ, რომლებშიც I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობათა განთავსება/მშენებლობა სავალდებულოა II კლასისთვის დადგენილი წესით

მომხს: ზურაბ ბანცაძე

3..ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N17 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

4 .ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის N31 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

5 . ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/11 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ჯაბა ბერაძე

6.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/12 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ჯაბა ბერაძე

7 .ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ხევში მდებარე 2150.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი № 36.05.33.287), სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

8. დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

9. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვისა და შეფასების თაობაზე

10.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვისა და შეფასების თაობაზე

მომხს: ჯაბა ბერაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 07 სექტემბრის სხდომის
ოქმი N 14

2020 წლის 07 სექტემბერი

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,
სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზ ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ვარლამ ჭიპაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ეკატერინე შველიძე, რუსუდან გიორგაძე, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, დოდო ხაჩიძე, პავლე კიკალიშვილი, ვახტანგ ტალახაძე, იულონ კოპაძე, ვლადიმერ ტალახაძე, ჯამბულ გამცემლიძე, ნიკოლოზ მაღრაძე, გივი ხიჯაკაძე, იუზა კელენჯერიძე, ბესიკ ტალახაძე, ზურაბ ხაჩიძე, დავით მაღლაფერიძე, ინგა მაღრაძე, მიხეილ ჭიპაშვილი სულ საკრებულოს 27 წევრი.
სხდომას ესწრებოდნენ:
მერიის წარმომადგენელი:

ვლადიმერ გელაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი,

ჯაბა ბერაძე-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი,

გიორგი ჭყოიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსი,

კახაბერ გოლუბიანი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი,

ზურაბ ბანცაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი,

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:
ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,
ნინო თხელიძე -საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,
ივანე ჭიპაშვილი -საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:
მ. შარიქაძე -ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი"-ს ჟურნალისტი ,
მ. შათირიშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი
მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხს: გიორგი ჭყოიძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვისა და შეფასების თაობაზე

მომხს: ზურაბ ბანცაძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვისა და შეფასების თაობაზე

მომხს: ჯაბა ბერაძე

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

6. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ ზონების განსაზღვრის შესახებ, რომლებშიც I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობათა განთავსება/მშენებლობა სავალდებულოა II კლასისთვის დადგენილი წესით

მომხს: ზურაბ ბანცაძე

7.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N17 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

8.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის N31 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

9. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/11 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ჯაბა ბერაძე

10.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/12 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ჯაბა ბერაძე

11.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ხევში მდებარე 2150.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი № 36.05.33.287), სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

დღის წესრიგის დამტკიცებამდე საკრებულოს წევრმა მიხეილ ჭიპაშვილმა მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს მანანა ბარბაქაძეს ფარცხნალის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ღუდუმექეთში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს უხარისხოდ, მოვითხოვ პრობლემის შესწავლის მიზნით შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეისწავლის არსებულ მდგომარეობას და საკითხის გადაწყვეტისათვის დასახავს ღონისძიებებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 27 წევრი

მომხრე 27

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგის დამტკიცებამდე საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომოსიის თავმჯდომარემ ოთარ ლურსმანაშვილმა სხდომის თავმჯდომარის წინაშე დააყენა წინადადება, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხს: გიორგი ჭყოიძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

ვინაიდან კომისიამ ვერ შეძლო სხდომაზე განხილვა მოეხსნა დღის წესრიგიდან სხდომის თავმჯდომარემ ასევე საკრებულოს წევრებს შესთავაზა წინადადება, დღის წესრიგის საკითხების რიგითობის ცვლილების შესახებთ და კენჭის ყრაზე დააყენა აღნიშნული წინადადება
კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 27 წევრი

მომხრ 25

წინააღმდეგი 2

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ ზონების განსაზღვრის შესახებ, რომლებშიც I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობათა განთავსება/მშენებლობა სავალდებულოა II კლასისთვის დადგენილი წესით

მომხს: ზურაბ ბანცაძე

3..ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N17 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

4 .ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის N31 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

5 . ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/11 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ჯაბა ბერაძე

6.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/12 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების

საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ჯაბა ბერაძე

2150.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი № 36.05.33.287), სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

8. დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ მომხს: ჯაბა ბერაძე

9. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვისა და შეფასების თაობაზე
მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

10.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვისა და შეფასების თაობაზე
მომხს: ზურაბ ბანცაძე

11. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).
მომხს: ჯაბა ბერაძე

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

ვ. ჭიპაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ თუ ავანსებს დაგვიბრუნებენ ამას რა ჯობია, მაგრამ ინფრასტრუქტურული პროექტების კუთხით არის პრობლემები, რასაც ჭირდება გაასმაგებული პასუხისმგებლობა, მისასალმებელია სკოლებში სველი წერტილების მოწყობის დაფინანსება, რაც შეეხება სეკვესტრს, მარტო პანდემიას ვერ დავაბრალებთ, ხალხის დაკვეთა სწორედ ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებაა, ცვლილებებს ვუჭერ მხარს მაგრამ დიდი სიხარულით არა.

დ. კიკნაძემ დასვა შეკითხვა თუ ეხება შემცირება ბრაილის შრიფტით სწავლებას,

ვ. გელაშვილმა, მომხსენებელმა უპასუხა, რომ არა

ჯ. გამცემლიძემ დააყენა წინადადება, რომ ლეღვნის საბავშვო ბაღში მოსაწყობია ინფრასტრუქტურა, უხარისხო სათამაშოებია შემორჩენილი,

ი. მაღრაძემ აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა მოგვესმინა ინფორმაცია სკოლებში ახალი სასწავლო წლის მზადებასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ შესაბამის კომისიას დაავალა აღნიშნულ საკითხზე ინფორმაციის მოსმენა.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი და მუხლობრივად კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი 2020 წლის ბიუჯეტი გაიზარდოს 525,041 ლარით, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 27 წევრი

გადაწყვეტილება მიღებული იქნა

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი შემცირდეს მმართველობა და საერთო დანიშნულება -137,0 ათასი ლარით, მ. შ. საკრებულოს ხარჯები - 10,0 ათ. ლარით; მერიის ხარჯები - 115,0 ათასი ლარით; სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური - 2,0 ათ. ლარით;
კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯები -10,0 ათ. ლარით. - 02 00 - ინფრასტრუქტურის განვითარება - 213,0 ათასი ლარით, მ. შ. წყლის სისტემის რეაბილიტაცია - 70, 0 ათ. ლარით; გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია - 3,0 ათ. ლარით; მრავალბინიანი სახლების რეკონსტრუქცია - 60,0 ათასი ლარით; სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები 60,0 ათ. ლარით (სოფ. ანეულის სარიტუალო სახლის მშენებლობა) , სოფლის მეურნეობის დაფინანსება - 20,0 ათასი ლარით. - 03 00 დასუფთავება და გარემოს დაცვა- 3,0 ათ. ლარით (უპატრონო ცხოველების მოვლა). - 04 0 - განათლება - 66,0 ათ. ლარით (სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება). - 05 00 - კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი- 81,0 ათ. ლარით, მ. შ. სპორტისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობა - 40,5 ათასი ლარით; სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა - 3,0 ათ. ლარით; კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობა - 34,5 ათ. ლარით; კულტურის ღონისძიებების დაფინანსება - 3, 0 ათ. ლარით.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 27 წევრი

მომხრ 27

წინააღმდეგი 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი გაიზარდოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები 15 758,1 ლარი 25,1 ათ. ლარით და განისაზღვროს 15 783.2 ლარით -

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 27 წევრი

მომხრ 24

წინააღმდეგი 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი შემცირდეს გადასახადები 6 698,9 ათასი ლარი 819,7 ათასი ლარით და განისაზღვროს 4 879,2 ათ. ლარით,

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 27 წევრი

მომხრე 25

წინააღმდეგი

თავი შეიკავა 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი შემცირდეს სხვა შემოსავლები 1396,6 ათ. ლარი 533, 3 ათ ლარით და განისაზღვროს 863,3 ათ. ლარით,

მომხრე 25

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი გაიზარდოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის გადასახდელები 20 611. 2 ათ. ლარი 25.1 ათ. ლარით და განისაზღვროს 20 636,3 ლარით

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 27 წევრი

მომხრ 25

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ზ. ბანცაძის ინფორმაცია საკითხზე „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ ზონების განსაზღვრის შესახებ, რომლებშიც I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობათა განთავსება/მშენებლობა სავალდებულოა II კლასისთვის დადგენილი წესით“ (თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 27 წევრი

მომხრ 25

წინააღმდეგი 2

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსისი კახაბერ გოლუბიანის ინფორმაცია საკითხზე „ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N17 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 27 წევრი

მომხრე 27

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსისი კახაბერ გოლუბიანის ინფორმაცია საკითხზე - „.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის N31 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე" (თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 27 წევრი
მომხრ 27
წინააღმდეგი 0
საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯ ბერაძის ინფორმაცია საკითხზე- „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/11 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზ" (თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 27 წევრი
მომხრ 27
წინააღმდეგი 0
საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯ ბერაძის ინფორმაცია საკითხზე- „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/12 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზ" (თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი
კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 27 წევრი
მომხრ 27
წინააღმდეგი 0
საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)
მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯ ბერაძის ინფორმაცია საკითხზე- „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის

საკუთრებაში არსებული, სოფელ ხევში მდებარე 2150.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი № 36.05.33.287), სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ"(თან ერთვის)
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 27 წევრი
მომხრ 27
წინააღმდეგი 0
საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ო. ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე „დროებითი სამუშაო ჯგუფის" შექმნის შესახებ
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 27 წევრი
მომხრე 27
წინააღმდეგი 0
საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ზ. ბანცაძის ინფორმაცია საკითხზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვისა და შეფასების თაობაზე (თან ერთვის)
აზრი გამოთქვეს:
ი. მაღრაძემ. დაუსვა შეკითხვა მომხსენებელს, თუ ზრუნავს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაზე, დაბაში იერსახის გაუმჯობესებაზე,, თუ დაგისვამთ საკითხი კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს წინაშე
ზ. ბანცაძემ უპასუხა, რომ მას ამ კუთხით არ შეუხედავს საკითხებისათვის, მისაღები წინადადებაა და გავითვალისწინებთ.
ვარლამ ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ ანგარიშს, რომ ვეცნობოდი აღმოჩნდა, რომ სამსახურს დებულების ნახევარი ნაწილი შეუსრულებელი აქვს, ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების ხარისხი არ კონტროლდება სათანადოდ, მიმდინარეობს მშენებლობები და ერთი ბანერი თუ გაგიკეთებიათ არა, იყო კომუნიკაციის პრობლემები სამსახურთან ურთიერთობაში, იმედია ახალა გამოსწორდება,
მ. ჭიპაშვილმა დაუსვა შეკითხვა - საამშენებლო მასალების ნარჩენების განსათავსებლად თუ აქვს მერიას გამოყოფილი ადგილი.

ზ. ბანცაძემ უპასუხა, რომ ხანდებში კარიერის ბოლოს იყო ადგილი გამოყოფილი, მაგრამ ამჟამად დაიკეტა.

ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ - ს თავმჯდომარის პ. გოგოლაძის წინადადებით საკრებულოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 15 წუთი.

შესვენების დასრულების შემდეგ ფრაქციის თავმჯდომარემ , პ. გოგოლაძემ შეფასების ნაწილში ითხოვა სიტყვა და აღნიშნა, რომ მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის საქმიანობას ფრაქციის სახელით ვაფასებ უარყოფითად,

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის წინადადება სამსახურის საქმიანობის უარყოფითად შეფასების შესახებ დააყენა კენჭის ყრაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 27 წევრი

მომხრე 22

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 5

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯ ბერაძის ანგარიშის განხილვის დაწყებამდე ფრაქცია „თვითმმართველობა ხალხისათვის „ თავმჯდომარემ ი. მაღრაძემ დასვა წინადადება, რადგან საკითხი განხილულია, გადასულიყვნენ კითხვა - პასუხის რეჟიმზე, ამავე ფრაქციის წევრმა მ. ჭიპაშვილმა მოითხოვა ანგარიშის წაკითხვა მომხსენებლის მიერ, რასაც არ დაეთანხმნენ საკრებულოს(საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის, განათლების, კულტურის და ახალგაზრდობის საკითხთა კომისიის და სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეები: ვ. ჭიპაშვილი, მ. ფხალაძე, დ. კიკნაძე და ოთარ ლურსმანაშვილი) იმ მიზეზით, რომ ანგარიში კომისიის სხდომებზე განიხილეს, საკითხთან დაკავშირებით წარმოიქმნა უთანხმოება , რის გამოც მომხსენებელმა ჯ. ბერაძემ დატოვა სხდომათა დარბაზი - რეპლიკით თქვენ არ გაინტერესებთ საკითხის განხილვა.

სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 10 წუთი.

შესვენების პერიოდში საკრებულოს მხრივ არაერთი მცდელობისა მომხსენებელი ჯ. ბერაძე დაბრუნებულიყო სხდომათა დარბაზში არ შესრულდა და შესვენების დასრულების შემდეგ ფრაქციის თავმჯდომარემ , პ. გოგოლაძემ შეფასების ნაწილში ითხოვა სიტყვა და აღნიშნა, რომ მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის საქმიანობას ფრაქციის სახელით ვაფასებ უარყოფითად,

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის წინადადება სამსახურის საქმიანობის უარყოფითად შეფასების შესახებ დააყენა კენჭის ყრაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 27 წევრი

მომხრე 22

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 5

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე